4675/3-87/22 2 27052022

4675/3-87/22
27-05-2022

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს

ბატონ ირაკლი ქარსელაძეს

ბატონო ირაკლი, შეგახსენებთ, რომ ჩემს მიერ 2021 წლის 25 ოქტომბერს გამოგზავნილ სადეპუტატო შეკითხვაზე არ მიმიღია პასუხი, აქედან გამომდინარე განმეორებით გიგზავნით სადეპუტატო შეკითხვას და გთხოვთ, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილის საფუძველზე მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

2022 წლის ბიუჯეტის პროექტისა და გრძელვადიანი განვითარების გეგმის მიხედვით, იგეგმება 2024 წლის ჩათვლით 20 მილიარდი ლარის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, მათ შორის 5 მილიარდი ლარის ღირებულების პროექტების 2022 წლის განმავლობაში.

გთხოვთ, მომაწოდოთ დეტალური ჩამონათვალი აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების, როგორც 2022 წლის ასევე 2024 წლამდე.

ბატონო ირაკლი გთხოვთ, ჩემს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია მომაწოდოთ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ვადებში.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ხათუნა სამნიძე